გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐნᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

**მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
**18.05.2018**

დასკვნის წარდგენის თარიღი
**10.07.2018**

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245628496 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატის შემდგომი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დიანა მჭედლიშვილი<br>შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან თაყაიშვილი<br>ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია/მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანჟელა აბულაძე<br>სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში დაარსდა ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი. 2009 წელს სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. იგი არის საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხივე მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი შემუშავებულია 2017 წელს რეგიონში, მათ შორის აჭარის მაღალმთიანეთში, კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლების მოთხოვნადობის საფუძველზე და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის გამოშვებაზე. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე. უნივერიტეტს აქვს მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელების გამოცდილება.

პირველ ეტაპზე პროგრამაზე იგეგმება 8 სტუდენტის მიღება. პროგრამას ექნება ფინანსური უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

პროგრამის სრულფასოვნად განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკის ფონდი, კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 60 ECTS კრედიტი. პროგრამა გაწერილია ერთი აკადემიური წლის, ორი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გადაეცემა სერტიფიკატი და მისი დანართი.

პროგრამის საბოლოო დახვეწის და წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, კურსდამთვრებული აღჭურვილი იქნება უფროსი მასწავლებლის კატეგორიის მუსიკის მასწავლებლისათვის საჭირო ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და ღირებულებებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 18 მაისს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმში. დაწესებულებამ უზრუნველყო შეფასების ჯგუფის სრულფასოვანი მუშაობისათვის შესაფერისი გარემო. სამუშაო პროცესი წარიმართა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.

შეფასების ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა უნივერსიტეტის კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელს, კანცელარიის და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. გასაუბრების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ვინც ამავდროულად არის მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი. უზრუნველყოფილ იქნა გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ამჟამად მოქმედი მასწავლებლის მომზადების სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან და დამსაქმებლებთან. ინტერვიუს პროცესი მიმდინარეობდა თანამშრომლობით ფორმატში, იყო შედეგიანი და სამუშაო პროცესზე ორიენტირებული. დაწესებულებამ შეუფერხებლად და დროულად წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის ტერიტორია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის აკრედიტაციის სტანდრტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვიზიტის დროს მოახდინა თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმება, გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, დამსაქმებლებს, სტუდენტს და კურსდამთავრებულს. მიღებული ინფორმაციის ანალიზის და ერთმანეთან განხილვის შედეგად, ჯგუფმა შეიმუშავა დასკვნა და შეეცადა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მაქსიმალურად ობიექტური სურათის შექმნა.

ჩვენი შეფასებით, აკრედიტაციის 5 სტანდარტიდან პირველი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ბოლო სამი სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
აკრედიტაციის სტანდარტების სრულფასოვნად დასაკმაყოფილებლად პროგრამა საჭიროებს სუსტი მხარეების გამოსწორებას, რაც ჩვენი ხედვით შესაძლებელია.

- რეკომენდაციები

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზის და მსჯელობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის სახელწოდება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი" დოკუმენტთან შესაბამისად - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი).
- ბხსუ-ს და მუსიკის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმეში აისახოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი) განხორციელებისა და განვითარების გეგმა.
- პროგრამის მიზნები გახდება ბოლომდე მიღწევადი იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა უფრო მეტად ფოკუსირებული იქნება მუსიკის სწავლების დიდაქტიკის სიღრმისეულად დაუფლებაზე და არა თვითონ საგნის ღრმად დაუფლებაზე.
- შინაარსობრივად გასწორდეს სასწავლო კურსის - „განვითარების ფსიქოლოგია" მიზანი და არ იყოს მოყვანილი ისეთი ფრაზები, როგორიცაა, მაგალითად, „შეძენილი ახალი ფსიქიკური უნარები და წარმონაქმნები".

- პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში შემოქმედებით-საინტერპრეტაციო საქმიანობაში სტუდენტის ჩართვა და ამ პროცესის შესაბამისი ჩვევებითა და მეთოდური რეკომენდაციებით მისი აღჭურვა.
- პროგრამის კურსდამთავრებულს განვითარებული უნდა ჰქონდეს იმპროვიზაციული ხასიათის რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების წარმართვის, ფორტეპიანოზე დაკვრის, აკომპანირების, გუნდის/ანსამბლის ხელმძღვანელობის, ასევე მღერის უნარები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მუსიკის საგნის სწავლება.
- სასწავლო კურსები - **"მუსიკის თეორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა ", "მუსიკის ისტორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა", "ქართული ხალხური შემოქმედების ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა"** უნდა ჩამოყალიბდეს როგორც: "მუსიკის თეორიის

სწავლების დიდაქტიკა", "მუსიკის ისტორიის სწავლების დიდაქტიკა", "ქართული ხალხური შემოქმედების სწავლების დიდაქტიკა" და უნდა იყოს ორიენტირებული მათი სწავლების დიდაქტიკაზე.

- პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების მეთოდები საჭიროა გაიწეროს ნათლად, ახსნილ იქნას რას მოიაზრებს თითოეული მათგანი და სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები თუ რომელ აქტივობებს მოიცავენ.
- სასწავლო კურსის - „მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში (სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი)" სწავლის შედეგებში უნდა დაემატოს დასკვნის და კომუნიკაციის უნარები.
- სასწავლო კურსში „სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია" უნდა დაემატოს ღირებულებების კომპეტენცია.
- ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსში უნდა დაემატოს კომუნიკაციის უნარი.
- პედაგოგიური პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების" კომპეტენცია უნდა აღიწეროს აღნიშნული კურსის ფარგლებში შეძენილ ცოდნასთან მიმართებით და არ უნდა იყოს ზოგადი. აქვე, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ფორმულირება უნდა შეესაბამებდეს მუსიკის საგნობრივ სპეციფიკას.
- „პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსის დანართში - მითითებები დღიურის წარმოებისათვის" მოყვანილ „კლასის გაცნობის" ნაწილში მოხსენიებული ფრაზა - „მუშაობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვებთან" სასურველია ამოღებულ იქნას სილაბუსიდან.
- საჭიროა გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგების „ცოდნა და გაცნობიერება" კომპეტენციის შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს მუსიკის მასწავლებლის სტანდარტთან. კერძოდ, გადაეხედოს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „აქვს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა".
- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერის ზოგად ნაწილში მოხსენიებული „წარჩინებული მასწავლებელი" უნდა შეიცვალოს „უფროსი მასწავლებლით".
- დაწესებულებამ უნდა გააფორმოს სკოლებთან მემორანდუმები უშუალოდ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ფარგლებში, ამ კომპონენტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, ასევე, პრაქტიკის გასავლელად სტუდენტთა შესაძლო რაოდენობის მითითებით.
- საჭიროა შევიდეს ცვლილება პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმატში. კერძოდ, მიზანშეწონილია ძირითადად შემოწმდეს პირის შემოქმედებითი უნარები, ვინაიდან

საგნობრივი თეორიული მასალის ფუნდამენტური ცოდნა პირს უდასტურდება სასერტიფიკატო გამოცდით.

- გადაიხედოს და დაიყოს საგამოცდო საკითხები შედარებით უფრო მცირე მოცულობის თემებად. ამასთან, საჭიროა განახლდეს გამოცდის საკითხების ასათვისებლად შეთავაზებული რუსულენოვანი ლიტერატურა შედარებით თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურით ან შეიქმნას რიდერები.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ფრაზა - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით სამუსიკო ხელოვნებაში" შეიცვალოს ფრაზით - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით მუსიკაში".
- პროგრამაში მოყვანილ იქნას სწავლების მეთოდების დეტალური განმარტება, ხოლო სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები რომელ აქტივობებს მოიცავენ.
- გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები და ნუსხა შემოიფარგლოს შესაბამისი კომპონენტის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსს - „სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია" განესაზღვროს კურსზე დაშვების წინაპირობები - „შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში" და „განვითარების ფსიქოლოგია".
- მიზანშეწონილია განსხვავებული ტიპის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის სრულფასოვანი შეფასებისათვის, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი თანაფარდობა და მათთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეირჩეს კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორის მიერ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და არ იყოს პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის ერთფეროვანი.
- შუალედური შეფასებების კომპონენტები გახდეს უფრო მრავალფეროვანი და კურსის სპეციფიკაზე მორგებული.
- საჭიროა ზოგიერთ სილაბუსში (მაგალითად, მუსიკის თეორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა, აქტიური სწავლების საფუძვლები და სხვ.) შეფასების კრიტერიუმების და რუბრიკების შინაარსობრივი კუთხით ლოგიკურად დალაგება და უზუსტობების გასწორება.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით კი გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობის მხრივ.
- საჭიროა პროგრამის ზოგიერთი სილაბუსის (მაგალითად, მუსიკის თეორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა, მუსიკის ისტორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა,

შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში) უზრუნველყოფა თანამედროვე ლიტერატურით ანდა რიდერების შექმნა.

- საჭიროა დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში უფრო ინტენსიური ჩართულობა, რაც ჩვენი ხედვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს, პროცესებს გახდის უფრო გამჭვირვალეს და გაზრდის პერსონალის და სტუდენტების მოტივაციას.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გახდეს მოქნილი და სასწავლო კურსის სპეციფიკაზე მორგებული, რაც ამავდროულად უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას.
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია და დაინერგოს პრაქტიკაში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სასურველია პროგრამა და სილაბუსები გადაიხედოს შინაარსობრივი უზუსტობების გასწორების მიზნით (მაგალითად, გასწორდეს „სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლის“ მაგვარი ფრაზები, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც კი გვხვდება).
  - პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელდეს ე. წ. ბენჩმარკინგი და გათვალისწინებულ იქნას და დაინერგოს საუკეთესო პრაქტიკა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნებია:<br>„აღზარდოს თანამედროვე საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე საბაზო და საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი. პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს მასწავლებლისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა, დაეუფლოს ღრმად საგანს და მისი სწავლების მეთოდიკას.<br>მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული და დარგობრივი უნარ-ჩვევების დაუფლება, მუსიკის მასწავლებლისათვის საჭირო უნარების შეძენა: სწავლების მეთოდების დაუფლება".<br><br>პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბხსუ) მისიასთან, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი სახით:<br>„ტრადიციული სპეციალობებით დაუახლოვდეს თანამედროვე მოთხოვნებს და დანერგოს ახალი სპეციალობები;<br>მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით; სახელოვნებო, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება;<br>სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და უნივერსიტეტის ინტეგრაცია სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში.<br>ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება."<br><br>პროგრამის მიზანი ასევე შესაბამისობაშია ბხსუ-ს მუსიკის ფაკულტეტის დებულებასთან:<br>„ფაკულტეტი მზად არის უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სისტემაში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით დანერგოს თანემედროვე სწავლების მეთოდები და აღზარდოს სახელოვნებო დარგის |

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციების და ფასეულობების განვითარებაში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ბხსუ-ს და მუსიკის ფაკულეტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებში არაა გაცხადებული, რომ პროექტის სახით არსებობს მასწავლებლის მომზადების პროგრამა საგან მუსიკაში და იგეგმება ამ პროგრამის რეგიონისთვის შეთავაზება.

პროგრამის მიზანი ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. რეგიონში, მათ შორის აჭარის მაღალმთიანეთში, კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლების მოთხოვნადობას ადასტურებენ დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ არსებულ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილი უკვე გამოხატა რამოდენიმე პირმა. თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრის დროს ბხსუ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის გახსნის ინიციატივა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ჩატარდა გამოკითხვები ბათუმის სკოლებში; ზოგიერთ სკოლაში გამოიკვეთა მუსიკის მასწავლებელთა დაბალი მზაობა, მაგალითად ვოკალში, რამაც გადააწყვეტინათ აღნიშნული პროგრამის შემუშავება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე იგეგმება დაახლოებით 8 სტუდენტის მიღება.

პროგრამის მიზანი ძირითადად მიღწევადია, თუმცა აღსანიშნავია, რომ:
პროგრამის მიზნებში მოხსენიებული „საბაზო და საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელი" შესაბამისობაშია მოსაყვანი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მუსიკაში დოკუმენტთან (იხ. http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/537967.pdf).

პროგრამის მიზნებში მოხსენიებული „დაეუფლოს ღრმად საგანს" არ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების მიზნებს. პროგრამაზე ჩარიცხულ პირს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული ექნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

სასწავლო კურსის - „განვითარების ფსიქოლოგია" მიზანში ნახსენებია ფრაზები - „შეძენილი ახალი ფსიქიკური უნარები და წარმონაქმნები" და „სტუდენტი შესძლებს ფსიქიკური მექანიზმების შესწავლის საფუძველზე", რაც შეფასების ჯგუფისთვის გაუგებარ აზრს

| |
|---|
| წარმოადგენს. აღნიშნული ფრაზები ახსნილ იქნა კურსის წამყვანი ლექტორის მიერ როგორც ტექნიკური შეცდომა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ბხსუ-ს მისია;<br>• მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;<br>• ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• მუსიკის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>მიგვაჩნია, რომ:<br>• მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროგრამის სახელწოდება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი" დოკუმენტთან შესაბამისად - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი).<br>• ბხსუ-ს და მუსიკის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებში საჭიროა აისახოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუსიკის მასწავლებელი) განხორციელებისა და განვითარების გეგმა.<br>• პროგრამის მიზნები გახდება ბოლომდე მიღწევადი იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ფოკუსირებული იქნება მუსიკის სწავლების დიდაქტიკის სიღრმისეულად დაუფლებაზე და არა თვითონ საგნის ღრმად დაუფლებაზე.<br>• საჭიროა შინაარსობრივად გასწორდეს სასწავლო კურსის - „განვითარების ფსიქოლოგია" მიზანი და არ იყოს მოყვანილი ისეთი ფრაზები, როგორიცაა მაგალითად, „შეძენილი ახალი ფსიქიკური უნარები და წარმონაქმნები". |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მიგვაჩნია, რომ პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასასვლელად აუცილებელია სწავლის პროცესში შემოქმედებით-საინტერპრეტაციო საქმიანობაში სტუდენტის ჩართვა და ამ პროცესის შესაბამისი ჩვევებითა და მეთოდური რეკომენდაციებით მისი აღჭურვა.

მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსები:

**„მუსიკის თეორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა";**

**„მუსიკის ისტორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა";**

**„ქართული ხალხური შემოქმედების ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა"**

უნდა ჩამოყალიბდეს როგორც:

**„მუსიკის თეორიის სწავლების დიდაქტიკა";**

**„მუსიკის ისტორიის სწავლების დიდაქტიკა";**

**„ქართული ხალხური შემოქმედების სწავლების დიდაქტიკა".**

ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსი არ არის ორიენტირებული მათი სწავლების დიდაქტიკაზე, ძირითადად შეისწავლება შესაბამისი საგნის ზოგადი კურსი. შედეგად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ამ სასწავლო კურსებით და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვნად შესრულება, რაც მასწავლებლის პედაგოგიური უნარებით აღჭურვას გულისხმობს.

პროგრამით გათვალისწინებული პედაგოგიური ბლოკი და მუსიკალურ-თეორიული კურსები ხელს უწყობს მუსიკის მასწავლებლის ჩამოყალიბების პროცესს, თუმცა პროგრამას აშკარად აკლია მათი გაერთიანების, ამ ცოდნის მოსწავლემდე მიტანის პრაქტიკული

სწავლების კურსი (შემოქმედებით-პრაქტიკული კურსი), რომელსაც, შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ვერც პედაგოგიური პრაქტიკა იტვირთავს. მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა პედაგოგიურ ბლოკთან და მუსიკალურ-თეორიულ საგნებთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფდეს შემოქმედებით-საინტერპრეტაციო საქმიანობაში სტუდენტის მონაწილეობას და ამ პროცესის მოსწავლეებთან წარმართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. იგულისხმება, რომ კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკის შესაბამისად უნდა ჰქონდეს განვითარებული იმპროვიზაციული ხასიათის რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების წარმართვის, ფორტეპიანოზე დაკვრის, აკომპანირების, გუნდის/ანსამბლის ხელმძღვანელობის, ასევე მღერის უნარები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მუსიკის საგნის სწავლება *(მუსიკის თეორიის ზოგად კურსში ვხვდებით „სიმღერა ნოტებით, ფურცლიდან კითხვა. ინტონირების სიზუსტის გამომუშავებაზე მუშაობის თავისებურებები", რასაც 2 სხვა საკითხთან ერთად სულ 3 საათი ეთმობა).* რეკომენდაციას ვუწევთ პროგრამის მესვეურებს, გააფართოვონ და შეავსონ პროგრამის ეს ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების მეთოდები არ არის გაწერილი ნათლად. მიგვაჩნია, რომ სწავლების მეთოდების დეტალური განმარტება საჭიროა მოყვანილ იქნას პროგრამაში, ხოლო სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები რომელ აქტივობებს მოიცავენ.

აუცილებლად მიგვაჩნია სასწავლო კურსში *მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში (სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი)* სწავლის შედეგებში დაემატოს დასკვნის უნარი, რასაც აღნიშნული კურსი სპეციფიკიდან გამომდინარე გამოუმუშავებს მონაწილეს. ვფიქრობთ, აქვე აუცილებელია კომუნიკაციის უნარის დამატებაც, ვინაიდან სასწავლო კურსის მეთოდებში მნიშვნელოვანი დატვირთვა მოდის ჯგუფურ მუშაობაზე, რომლის ფორმატიც ითვალისწინებს დისკუსიას/დებატებს და მსჯელობას.

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია კომუნიკაციის უნარის დამატება ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსშიც, რომლის დანერგვა და განხორციელება განვითარებულ საკომუნიკაციო უნარებს მოითხოვს და რომლის სწავლების მეთოდებშიც წყვილებში მუშაობაა გათვალისწინებული.

ვფიქრობთ, სასწავლო კურსი „სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე სტუდენტს უმუშავებს ღირებულებების კომპეტენციას.

პედაგოგიური პრაქტიკით გათვალისწინებულ კომპეტენციებში „ცოდნა და გაცნობიერება“ მთელი პროგრამის შესაბამის ინფორმაციას იტევს და ცდება აღნიშნული კურსის ფარგლებს. აქვე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებში ვხვდებით „შეუძლია მუსიკალური ხელოვნების პრინციპების, მხატვრული ხერხებისა და ელემენტების სწავლება ნამუშევრის შექმნისას“. მსგავსი ფორმულირება უფრო შეესაბამება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ სპეციფიკას.

დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსის დანართში - მითითებები დღიურის წარმოებისათვის“ მოყვანილ „კლასის გაცნობის“ ნაწილში მოხსენიებულია ფრაზა - „მუშაობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვებთან“. სასურველია ასეთი ტიპის ფრაზები ამოღებულ იქნას სილაბუსიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

მიგვაჩნია, რომ:

- პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში შემოქმედებით-საინტერპრეტაციო საქმიანობაში სტუდენტის ჩართვა და ამ პროცესის შესაბამისი ჩვევებითა და მეთოდური რეკომენდაციებით მისი აღჭურვა.
- პროგრამის კურსდამთავრებულს განვითარებული უნდა ჰქონდეს იმპროვიზაციული ხასიათის რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების წარმართვის, ფორტეპიანოზე დაკვრის, აკომპანირების, გუნდის/ანსამბლის ხელმძღვანელობის, ასევე მღერის უნარები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მუსიკის საგნის სწავლება.
- სასწავლო კურსები:

**„მუსიკის თეორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა“;**

**„მუსიკის ისტორიის ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა“;**

**„ქართული ხალხური შემოქმედების ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდიკა“**

უნდა ჩამოყალიბდეს როგორც:

„მუსიკის თეორიის სწავლების დიდაქტიკა“;

„მუსიკის ისტორიის სწავლების დიდაქტიკა“;

„ქართული ხალხური შემოქმედების სწავლების დიდაქტიკა“.

და უნდა იყოს ორიენტირებული მათი სწავლების დიდაქტიკაზე.

- პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების მეთოდები საჭიროა გაიწეროს ნათლად, ახსნილ იქნას რას მოიაზრებს თითოეული მათგანი და სილაბუსებში დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები თუ რომელ აქტივობებს მოიცავენ.
- სასწავლო კურსის - „მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში (სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი)“ სწავლის შედეგებში უნდა დაემატოს დასკვნის და კომუნიკაციის უნარები.
- სასწავლო კურსში „სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ უნდა დაემატოს ღირებულებების კომპეტენცია.
- ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსში უნდა დაემატოს კომუნიკაციის უნარი.
- პედაგოგიური პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ კომპეტენცია უნდა აღიწეროს აღნიშნული კურსის ფარგლებში შეძენილ ცოდნასთან მიმართებით და არ უნდა იყოს ზოგადი. აქვე, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ფორმულირება უნდა შეესაბამებდეს მუსიკის საგნობრივ სპეციფიკას.
- „პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსის დანართში - მითითებები დღიურის წარმოებისათვის“ მოყვანილ „კლასის გაცნობის“ ნაწილში მოხსენიებული ფრაზა - „მუშაობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვებთან“ სასურველია ამოღებულ იქნას სილაბუსიდან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედ იაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობამ მეტწილად უნდა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და მასწავლებლის განათლების საგანმანთლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის სათანადო დონით, თუმცა პროგრამის ცალკეულ შედეგებთან და სილაბუსებთან დაკავშირებით გვაქვს რეკომენდაციები.

პროგრამის სწავლის შედეგების „ცოდნა და გაცნობიერება" კომპეტენციაში მოყვანილია ფრაზა - „აქვს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა", რაც ვფიქრობთ შეესაბამება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ სპეციფიკას და შეუსაბამოა მუსიკის მასწავლებლის სტანდარტთან და შეიძლება მოიაზრებოდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობად.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროგრამის სწავლის შედეგების აღწერის ზოგად ნაწილში მოხსენიებულია „წარჩინებული მასწავლებლის მახასიათებელი", როდესაც ასეთი კატეგორია არ არსებობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო;
- მასწავლებლის განათლების საგანმანთლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი.

**რეკომენდაციები:**

მიგვაჩნია, რომ:

- საჭიროა გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგების „ცოდნა და გაცნობიერება" კომპეტენციის შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს მუსიკის მასწავლებლის სტანდარტთან.
- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერის ზოგად ნაწილში მოხსენიებული „წარჩინებული მასწავლებელი" უნდა შეიცვალოს „უფროსი მასწავლებლით".

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და სტრუქტურა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულმა მეტწილად შეიძინოს მუსიკის მასწავლებლისათვის აუცილებელი ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები, შეძლოს პედაგოგიური საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელება და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. თუმცა მიგვაჩნია, რომ მუსიკის სწავლების დიდაქტიკის უფრო სიღრმისეული შესწავლა გააძლიერებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და უფრო პროდუქტიულს გახდის მათ შრომით საქმიანობას. ამასთან, აღნიშნული პროგრამის შეფასებისათვის განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ესაჭიროება მუსიკის მასწავლებლები. მუსიკის მასწავლებლის ნაკლებობა განსაკუთრებით შეიმჩნევა აჭარის მაღალმთიანეთში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს სკოლებთან ზოგადი შინაარსის მემორანდუმები, რაც არ უზრუნველყობს პროგრამით გათვალისწინებული

პრაქტიკის განსახორციელების და სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის საჭირო გამოცდილების მიღების მდგრადობას.

რადგან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ძირითად დასკვნებს ვაკეთებთ პროგრამის და სილაბუსების შემოწმების შედეგად, ასევე, გამოკითხვის შედეგების გაცნობით და თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით და მასწავლებლის მომზადების პარალელური პროგრამის შედეგების გათვალისწინებით.

პარალელური პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან და მათ კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა დამსაქმებელთა მხრიდან. დამსაქმებლებს ასევე აუცილებლად მიაჩნიათ მასწავლებლის მომზადების პროგრამის ამოქმედება საგან მუსიკაში. აღსანიშნავია, რომ გასაუბრება განხორცილედა ამ პროგრამის ერთ კურსდამთავრებულთან და დამსაქმებელი სკოლების წარმომადგენლებთან.

იგივე დამსაქმებლები იცნობენ პროგრამას, რეკომენდაციების სახით გარკვეულად მონაწილეობდნენ პროგრამის შექმნის პროცესში და გამოთქვავენ ვარაუდს პროგრამის კურსდამთავრებულთა მომზადების მაღალი დონის შესახებ, ვინაიდან ისინი კმაყოფილნი არიან მასწავლებლის მომზადების პარალელური პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- ინტერვიუ ბხსუ-ის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- გაფორმებული მემორანდუმები.

**რეკომენდაციები:**

პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად მიგვაჩნია, რომ:

- პროგრამის შესაბამისი კომპონენტები უნდა უზრუნველყოფდნენ მუსიკის სწავლების დიდაქტიკის უფრო სიღრმისეული შესწავლას.
- დაწესებულებამ უნდა გააფორმოს სკოლებთან მემორანდუმები პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ფარგლებში, ამ კომპონენტით გათვალისწინებული შედეგების

| |
|---|
| მიღწევის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, ასევე, პრაქტიკის გასავლელად სტუდენტთა შესაძლო რაოდენობის მითითებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიურიპერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, გათვალისწინებული იყო პარალელური პროგრამის სტუდენტისა და კურსდამთავრებულის რეკომენდაციები.<br><br>ინტერვიუზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს, აწყობს შეხვედრებს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებთან, სტუდენტებთან, მშობლებთან, კულტურის სფეროთი დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხდება მათი მოსაზრებების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დროს. პროგრამაში ჩართული |

| |
|---|
| აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს აჭარის საჯარო და კერძო სკოლებთან და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სურვილებს.<br><br>დაწესებულებამ წარმოადგინა გამოკითხვების და შეფასების შედეგები უმეტესად სხვა პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი) ჩართულობაც დადასტურდა, თუმცა მაინც საჭიროა მათი ჩართულობის ინტენსიურობის გაზრდა.<br><br>დამსაქმებელთა ინტერესს წარმოადგენს საგნობრივი, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად პედაგოგიური თეორიების, განსაკუთრებით თანამედროვე მიდგომების ცოდნა, მუსიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება მოსწავლეებში და საგნის მნიშვნელობისა და სტატუსის გამყარება, რაც ფართო თვალსაწიერის, პროფესიონალი მუსიკოსისა და თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი მასწავლებლისათვის მიაჩნიათ შესაძლებლად.<br><br>პარალელური პროგრამის სტუდენტთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბხსუ-ის ადმინისტრაცია ითვალისწინებს სტუდენტთა სურვილებს და საჭიროებებს, როგორც აკადემიური პერსონალის შერჩევის კუთხით, ისე სხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ინტერვიუ ბხსუ-ის ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან;<br>• გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და გარკვეულწილად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. თუმცა, ბხსუ-ში ორგანიზებული გამოცდის ფორმატთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული რეკომენდაციები.<br><br>მისაღები გამოცდის პირობები გამჭვირვალეა, მაგრამ უმჯობესი იქნება, შემოწმდეს, არა მარტო შესაბამისი ცოდნა და ღირებულებები, არამედ პირის შემოქმედებითი უნარებიც. სასურველია, ფორმატში შევიდეს ცვლილება: 1) ვინაიდან აპლიკანტი საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში იქნება დაშვებული გამოცდაზე, ის ნაკლებად საჭიროებს მუსიკალურ-თეორიული მასალის ფუნდამენტურ გამოკითხვას; 2) მიუხედავად |

იმისა, რომ პროგრამის წინაპირობიდან გამომდინარე, აპლიკანტი იქნება „შესაბამისი დარგის ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი“ და ექნება განათლება ამ სფეროში, მიგვაჩნია, რომ გამოცდაზე მისი მუსიკალურ-შემოქმედებითი უნარების და, შესაბამისად, საჭიროებების განსაზღვრა უნდა იყოს პრიორიტეტული.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ საგამოცდო საკითხები დიდი მოცულობისაა. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებით მითითებული ლიტერატურა კი ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ რუსულენოვანია და მოძველებული, რაც ასევე გასათვალისწინებელია.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ვხვდებით ფრაზას - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით სამუსიკო ხელოვნებაში“. მასწავლებლის კომპეტენცია დასტურდება საგან „მუსიკაში“ და არა „სამუსიკო ხელოვნებაში“. შედეგად, აღნიშნული უზუსტობა საჭიროებს გასწორებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- საპეციალიზაციო გამოცდის საკითხების, ჩატარების წესისა და ფორმის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ რეგულაცია.

რეკომენდაციები:

შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად მიგვაჩნია, რომ:

- საჭიროა შევიდეს ცვლილება პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმატში. კერძოდ, მიზანშეწონილია ძირითადად შემოწმდეს პირის შემოქმედებითი უნარები, ვინაიდან საგნობრივი თეორიული მასალის ფუნდამენტური ცოდნა პირს უდასტურდება სასერტიფიკატო გამოცდით.
- აუცილებელია გადაიხედოს და დაიყოს საგამოცდო საკითხები შედარებით უფრო მცირე მოცულობის თემებად. ამასთან, საჭიროა განახლდეს გამოცდის საკითხების ასათვისებლად შეთავაზებული რუსულენოვანი ლიტერატურა შედარებით თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურით ან შეიქმნას რიდერები.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ფრაზა - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით სამუსიკო ხელოვნებაში“ უნდა შეიცვალოს ფრაზით - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით მუსიკაში“.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას |
